

შპს „Ecoservice“

ს/კ 400074879

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის



2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „Ecoservice“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 18 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400074879, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ერწოს ქ. #4. კორპ. 1, ბინა 60. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის წილის ფლობა განწილებულია შემდეგნაირად:

შალვა კეჟერაშვილი პ/ნ 12001039080 – 33 %

ირაკლი მოდებაძე პ/ნ 12001025874 – 33 %

შაველე ხატიაშვილი პ/ნ 40001002250 – 34 %

1.3. კომპანიის დირექტორია თენგიზ ჭიჭინაძე პ/ნ 01002005729

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მიწის ჰორიზონტალური ბურღვის მომსახურება.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

3. 

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე

თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწრა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო

სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის

საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.702 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგება და მუხლების განმარტებითი შენიშვნები

ბალანსი:

აქტივები	31/12/2022	31/12/2021
<i>მიმდინარე აქტივები:</i>		
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	246737	294549
სავაჭრო მოთხოვნები	497127	393418
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	21009	20943
სასაქონლო მარაგები	54637	20900
მთლიანი მიმდინარე აქტივები	819509	729810.00

<i>ძირითადი საშუალებები:</i>		
მიწის ნაკვეთი	39055	39055
დაუმთავრებელი მშენებლობა	63068	63068
მანქანა - დანადგარები	565353	705609
ოფისის აღჭურვილობა	7396	7397

3. 

საამქროს აღჭურვილობა	3207	5012
სატრანსპორტო საშუალებები	73600	52990
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	757	758
მთლიანი ძირითადი საშუალებები	752436	873889

არამატერიალური აქტივები:		
აღრიცხვის პროგრამა	505	505
	0	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	505	505

მთლიანი აქტივები	1572452	1604204
-------------------------	----------------	----------------

ვალდებულებები და კაპიტალი	31/12/2022	31/12/2021
მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	18753	10084
საგადასახადო ვალდებულებები	0	43159
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	18854	53243

გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	0	31291
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	0	31291
მთლიანი ვალდებულებები	18854	84534
კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1553698	1519670
მთლიანი კაპიტალი	1553698	1519670

3. კომპ

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
ფული სალაროში	21	1084
ფული ბანკში	246716	293464
სულ	246737	294549

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	497127	393418

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ მოთხოვნები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
გადახდილი ავანსები	21009	20943

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
ხელსაწყო ინსტრუმენტები	11783	3200
ნედლეული და მასალები	42854	17700
სულ	54637	20900

3. ხელმოწერა

3.5. ძირითადი საშუალებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
მიწის ნაკვეთი	39055	39055
დაუმთავრებელი მშენებლობა	63067	63067
მანქანა - დანადგარები	565353	705609
ოფისის აღჭურვილობა	7396	7396
საამქროს აღჭურვილობა	3207	5012
სატრანსპორტო საშუალებები	73600	52990
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	758	758
არამატერიალური აქტივები	505	505
სულ ჯამი:	874392	1040109

ძირითადი საშუალებები მოცემულია ნარჩენი ღირებულებით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 1011560 ლარი

2022 წლის ბოლოს - 1168296 ლარი

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	18753	10084

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021

3. ხათაძე

საგადასახადო ვალდებულებები	0	43159
----------------------------	---	-------

3.8. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
საბანკო სესხი	0	31291

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
გაუნაწილებელი მოგება	1553698	1519668

საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

მოგება-ზარალის ანგარიშგება	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები	1494091	1589767
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1494091	1589767
ხარჯები		
თვითღირებულება:	601360	633537
ძირითადი მასალების დანახარჯები	49228	99167
ობიექტებზე გაწეული მომსახურების ხარჯი	67824	47078
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	240671	245064
მანქანა - დანადგარების ცვეთა	141061	176325
საწვავის ხარჯი	102578	65903
სხვა საოპერაციო ხარჯები:	799717	690372
ხელფასის ხარჯი	587877	474334
ძირ. საშუალებების ცვეთა	19526	17142
საიჯარო ხარჯი	10050	10102
სხვა საოპერაციო ხარჯი	182264	188794
საოპერაციო მოგება	93014	265858
არასაოპერაციო შემოსავალი	10000	9300
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10000	9300

3. კონტა

არასაოპერაციო ხარჯი	11489	77984
საპროცენტო ხარჯი	424	4307
საკუროს სხვაობა	3365	66818
სხვაო არასაოპერაციო ხარჯი	7700	6859
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	91525	197174
მოგების გადასახადის ხარჯი	4865	23643
წმინდა მოგება	86660	173531

4.1. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

საანგარიშო პერიოდში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მიწის ჰორიზონტალური ბურღვის სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

თვითღირებულება:

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები	49227.52	88358
ობიექტებზე გაწეული მომსახურება	67824	110447
პირდაპირი ხელფასი	240670.92	175379
მანქანა - დანადგარების ცვეთა	141060.5	228107
საწვავი	102577.51	56128
სულ ჯამი:	601360	658419

4.2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
საკანცელარიო ხარჯი	301.92	291
ტრანსპორტირების ხარჯი	25971.43	24375
კომუნიკაციის ხარჯი	1884.44	1981
დაზღვევა	2102.33	3243
ქონების გადასახადის ხარჯი	22187.16	9134
კომპიუტერის ხარჯები		237
მივლინების ხარჯი	25716.27	13486
საბურღი მოწყობილობების რემონტი	6934	26897
ავტომატების შეკეთების ხარჯი	57233.68	93982
საწვავის ხარჯი	15257.08	4759
ბანკის საკომისიო	2422.71	2026

3. [Signature]

სამეურნეო ხარჯი	22252.33	8383
სულ ჯამი:	182264	188794

4.3. არასაოპერაციო შემოსავლები:

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
არასაოპერაციო შემოსავალი	10000	9300

2022 წელს არასაოპერაციო შემოსავალი შედგება ძირითადი საშუალების ნეტო რეალიზაციისაგან.

4.4. არასაოპერაციო ხარჯები:

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
არასაოპერაციო ხარჯები	7700	6859

2021 და 2022 წლების არასაოპერაციო ხარჯი შედგება იმ ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისაგან, რომელიც წარმოიშვა მათი რეალიზაციის შედეგად.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება:

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	2022 წელი	2021 წელი
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1519670	1597718
დივიდენდის განაწილება	52631.59	251579
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	86660	173531
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1553698	1519670

ვასო ქლიბაძე

